საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება №73

2025 წლის 3 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილების ნორმატიული აქტებისათვის მიკუთვნების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 იანვრის №1 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/02/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016001) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი 20-ით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-5 მუხლის 8^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8^1. სასამართლოში/სასამართლოს კოლეგიაში/პალატაში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, მოსამართლის საქმეთაგან გადატვირთულობის ან სხვა ობიექტური გარემოების გამო, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია შეამციროს მოსამართლეზე საქმეთა განაწილების პროცენტული მაჩვენებელი არაუმეტეს 70%-იანი ბიჯით, ან დროებით შეაჩეროს აღნიშნულ მოსამართლეზე საქმეთა განაწილება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი
საბჭოს მდივანი **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**